


ეპილა

ადამიანები

იუმორისტ.
უურნალი

№ 22



— ა ქუთხა 915

ბალმონთის ლექციაზე.

შოთა რუსთაველის საღამო

ვიცი მკითხველი სასაცილოდ ამიღებს და ცრუმორწმუნე გიესაც მიწოდებს, მაგრამ მე მაინც ერთსა ვსოდოვ მას: ბოლომდე წაიკითხოს ეს წერილი და მხოლოდ მაშინ დასკინოს და უკისინოს ჩემ ცრუმორწმუნეობას.

დიალ, მე მრწამს სპირიტიზმი! ამას აღვიარებ საჯაროთ, მოურიდებლათ და უთაკილოთ.. მე მრწამს სპირიტიზმი, რადგან ჩემს უფერულსა და მოსაწყენ ცვლოვრებაში მხოლოდ სპირიტიზმს შეაქვს ხალისი და ურეოლით საფსე გატაცება. საუკეთესო

წუთები ჩემი ცხოვრებისა ის წუთებია, როცა მე, იდუმალ სიბძელით გარემოცული და წვრიმალ ზრუნვას განშორებული, მიცვალებულთა სულთ ვებასები უცნაურისა და საკვირველი ენით. არა თუ მეგობარი, ამხანაგიც არა მყავს მე ცოცხალთა შორის და ჩემი გულის მესაიდუმლენი, რომელთაც ვენდობი და მენდობიან, მხოლოდ იქ, საიქიოს მე-გულვებიან. განა არ შემიძლია, მკითხველს მოუთხრო და დაწვრილებით გადოვცე მრავალი მიცვალებულის სულთან ჩემი პატარების ამბავი და სი-

ბრძნით აღსავს ჩვენი გაშინდელი ბაასი, მაგრამ ამ უამთ მინდა, მხოლოდ უკანასკნელი სპირიტული ცდა და მისი შედეგები გავუზიარო საზოგადოებას.

—

ეს უკანასკნელი სპირიტული სეანსი ამ ერთი კვირის წინათ გავმართე, სწორეთ მას შემდეგ, გაზეთებში რომ წაფიკითხე, თბილისში რუსების ცნობილი პოეტი კ. ბალმონტი ჩამოვიდა და საჭ ღვინობისთვეს მის გამო შოთა რუსთაველის საღამო გაიმართებათ. მართალი უნდა მოგახსენოთ, შოთა რუსთაველის საიქიოდან გამოწვევას გულის ფანცქალითა და განსაკუთრებულის მღელვარებით მოველოდა; ბევრჯელ იღმძერია ჩვენ ღიღებულ შოთასთან ბაასის წყურვილი და ყოველობის გულშივე ჩიმიქლავს, რადგან მისი შეწუხების საქმაო საბუთი არასოდეს არა მქონია. ეხლა კი, ჩემი აზრით, სრული უფლება მქონდა გენიოს მწერლის საუკუნებრივი მყუდროების დარღვევისა და შიშითა და კრძალვით ვემზადებოდი მასთან ბაასისათვის.

— შოთა რუსთაველო! შოთა რუსთაველო! შოთა რუსთაველო! — წარმოვსთქვი სამჯერ, როგორც წესი მოითხოვდა, წყვდიადით მოცულ მოახში.

ჰაერში ნაჩვევი იღუმალი ურიალი და ფაჩიფერი გაისმა. სული გავტრუნე და ლოდინათ ვიქეცი. ჰაერის უცნაურ ხმაურობას ჩემი მღელვარე გულის ბაგა-ბუგი აძლევდა ხმას.

— რა გინდა? — დაგუბებულის, ყრუ ხმით მყითხა სულმა ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ, რომელიც ჩემოვის საუკუნესავით გაგრძელდა.

— შენა ხარ სული შოთა რუსთაველისა? — აკანკალებული ხმით შევეკითხე მე.

— მე გარ!

— მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე, ჰო, ღიღებულო ქართველო, შვენებათ და ვარიყო ჩვენი წარსულისა, აწმურასა და მომავალისა — წავილულუდე მე და პირქვე დავემხე.

— აღსდეგ! რა განდა? — მითხრა სულმა.

— ზეგ, სამ ღვინობისთვეს, არტისტიულ საზოგადოების თეატრის საკონცერტო ზალაში... დავიწყე მე, მაგრა? შოთას სულმა გამაწყვეტინა.

— არა მესმის რა, — წარმოსთქვა მან და მეც მი, ხვდი, რომ წოთასთვის გაუგებარი ენით ვლაპარაკობდი.

— შემდგომად ორისა დღისა განზრახულ არს სერობა სახელისა შენისათვის, — ვითომ მისთვის

გასაგები ენით დავუწყე მე, — მწერალი ვინმე, რესი ტომითა, რომელმან თარგმან ჰყო „ვეფხის ტყაოსანი“ შენი, წაუკითხავს ერსა ქართველსა თარგმანსა მას.

— მესმის. მერე?

— და შეოკრბებიან მუნ მარილნი ქვეყანისა ქართველთა თაყვანისცემიდ სახელისა შენისა.

— სამოა ფრიად. მერე?

— ვითარ გავეკანინერდე ესრედ, ხოლო, უკეთ უ შესაძლებელ არს შენდა, შეისხ ხორცი და მოვედ უამსა მას მწუხრისასა თანადასწრებად სერობისა მის და იხილე შვილნი ერისა შენისანი, რჩეულნი და ჩინებულნი შორის მრავალთა — შევევერე მე შოთას სულს.

— კეთილი! შემდგომად ორისა დღისა, უამსა, ოდეს მზემან გულ-აღზნებულმან ოქროს ტანი თვისი მხურვალე შეახოს ზეირთთა მაგრილებელთა პონტისა ევქსინისასა, დავუტევებ წიაღსა მას, სადაცა წინაშე დედოფლისა გულისა ჩემისა, თამარისა, ვდგევარ მარადის მუხლმოდრეკილი და მოგვლინები შენ ხორც სხმულ სვლად შენთანა სერობასა მას, რომელსა იტყვი. მშვიდობით!

მკითხველი იდვილათ წარმოიდგენს იმ უაღრეს სიხარულსა და აღტაცების, რომელიც შოთას ამ სიტყვებმა განმაცდევინა. ორი დაუსრულებელი დღე და ორი, კიდევ უფრო დაუსრულებელი უძილო ღამე გავატარე მოუთმენელ მოლოდინში და იმ ორი საუკუნის შესადარ ორ დღე და ღამის შემდეგ, მარხვასა და ლოცვაში გამოწროთობილი ბერ მანაზონი რომ ქრისტეს ხილვისთვის განემზადება, ისე განვემზადე ხორცშესმულ შოთას სანახავად.

თაგუნა.

(შემდეგი იქნება)



რა გზას დავადგეთ?

1 ოქტომბერი.

ვინც გაზ. „საქართველოსა“ კითხულობს, ვინც იცის ჩვენი ძველი ისტორია, ვისაც უყვარს ქართველი ერი, ვის სურვილისაც შეაღ-
ვენს ჩვენი სამშობლოს წარმატება, სულყველა
უნდა დააფუქროს ჩვენი ქვეყნის ბედმა და სულყვე-
ლოს დაუყენოს წინ ჯერაც გაურკვეველი საკითხი:
— რა გზას დავადგეთ?

ჩვენი სამშობლოს მომავლის პორიზონტზე რი ლამპარი მოსჩანს: მონასტერი და სკოლა. ღლევანდლამდე ქართველ ინტელიგენტთა უმრავ-
ლესობა თავისს ეტლს უფრო სკოლისაკენ მიმარ-
თვედა და ამით გზა მონასტრისადმი ნარ ეკალმა-
ოცო, დაყრუცდა და გავერანდა. არ ვიცი რით
ელმძღვანელობდა ქართველი საზოგადოება, მაგ-
რამ დღეს ჩვენს ქვეყანაში ასობით სკოლა დაითვ-
რება, ხოლო მონასტერთა რიცხვი თითქმის კლე-
ულობას.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანის გაზ. „საქარ-
თველო“ მოევლინა, მდგომარეობა ძირიანათ შეიც-
ართა. ქართული ეკლესიისა და მაშასადამე მონას-
ტრების საკითხი კვლავ წინ წარმოსდგა; გაზეთის
ესვეურნი ერთგული შეუდგენ ნარ-ეკლიოთ მო-
ული გწის კაფვას და პირველი ოქტომბრის ნო-
ებრში, უკვე მოუწოდებენ ხალხს „თაყვანი სცენ-
ონასტრებს“.

დიახ, „საქართველოს“ პირველი ოქტომბრის
ომერში (106) მოთავსებულია ფრიად საყურად-
ებო წერილი ბ-ნი ქართველისა. ვინც ამ წერილს
ულდასმით წაიკითხავს, იგი უკვევლათ დაუსვამს
ავის თავს საკითხს: რა გვჭირია? რა გზას დავად-
ეთ? წმინდანები, თუ მეცნიერები?

საქმე აი რა ყოფილა:

„ბ-ნმა ელიოზმა იქრუსალიმიდან მცხეთას ჩა-
ოტანა იქსოს პერანგი... გზად მას შეეგება დაი
სი სიღონია, გამოართვა პერანგი და გულში ჩა-
უტა. სიღონიამ მყისვე სული განუტევა, ხოლო
ს საფლავზე ამოვიდა კიბაროზის ხე (Cupressus
pyramidalis) როდესაც წმინდა ნინომ მონათლა
რთველები, სიღონიას საფლავზე მირიანმა ააგო
სეთის ტაძარი. კვიპაროზი ზოსქრეს და ეკლე-
სის დედა-ბოძათ მოიხმარეს. მაგრამ დახეთ უბე-

დურებას. ოსტატებმა თურმე ვერას გზით ვერ ააყე-
ნეს მოკვეთილი ხე. ბევრი შრომა დახარჯეს, მაგ-
რამ ამაღდ. ბოლოს, წმინდა ნინოს ვედრებით
უზარ-მაზარი ბოძი თითონ აბრძანდა და დადგა თა-
ვის ალაგის“ („საქართველო“ № 106).

იქ უნცბლიერ იბადება კითხვა; რა გზას და-
ვადგეთ? მართლა საჭიროა ჩვენ ტეხნიკურ-სამე-
ურნეო და სხვა გვარი ცოდნით დავტვირთოთ ჩვე-
ნი შთამომავლობა, თუ უმჯობესი იქნება შეილები
პირდაპირ წმინდანებათ დაღვწარდოთ. გაზ. „საქართ-
ველოს“ ხელმძღვანელობა და მათთან ერთად მცე-
საჭიროო მიმართ ქართველობა განწმინდების გზას
დაადგეს. ამას გვიყარნახებს უპირველეს ყოვლისა
სიღარიბე. მოგეხსენებათ, რომ სიღარიბე პირველი
საფეხურია წმინდანობისათვის, ვინაიდან „შესაძლე-
ბელ არს გაძრებს აქლები ყუნწსა ნემსისასა, ვიდრე
შევიდეს მოიდარი სასუფეველისა შინა“. ამ შემთხ-
ვევაში ჩვენ დაგვეკირდება მხოლოდ დილა საღამო-
ობით ვიკითხოთ ლოცვები და თოხშაბათ პარას-
კევი ვიმარხულოთ.

სამაგიეროთ, წარმოიღებინეთ ის ბედნიერი
დღე, როერა ყოველი ქართველი განურჩევლად სქე-
სისა და მიმართულებისა წმინდანი იქნება. როგორ
ადვილი და თითქმის უზრუნველი იქნება ჩვენი
ცხოვრება ამ ქვეყნად და იმ სოფლად.

დღეს როცა ჩვენი მსახიობნი კარ და კარ
დაძრწიან, ყველგან დევნილნი და უკუქცეულნი,
განა ასეთ ყოფაში იქნებოდენ შაშინაც, თუ იმათ
შორის სამი-ოთხი წმინდანი ერიოსს? დიახაც არა
მაშინ ისინი დასხდებოდენ საღმე მოხერხებულ ად-
გილის ლოცვად

და განა მირტო მსახიობნი?! მაშინ ძალი
არ დაჰყევდა ჩვენ დამშეულ ხალხს, ჩვენს უნიკო
მწერლებს, ჩვენს გაკოტრებულ თავად-აზნაურო-
ბას, ჩარჩად ქმნილ ვაჭრებს და თვით „საქართვე-
ლოს“ რედაქტიოც არ ჩაგარდებოდა ისეთ უხერ-
ხულ მდგომარეობაში, რაღაც ხუთასიოდ თუმნი-
სათვის.

ერთი სიტყვით საკითხი აშეარათ სუგას, მა-
გრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ხშირად
აშეარასაც ვერა ვერდავთ. ჩემს ერთად ერთ იმედს
ამ მძრივ გაზ. „საქართველოს“ კრებული წარმო-
ადგენს. იმათ უკვე საბოლოოთ იბრუნეს პირი გან-
წმინდანებასა და მონასტრისაკენ და იმავე მოწინა-
ვე წერილში იცხადებენ:

„ამისათვის ყაფები შეგნებული ქართველი, უკავა
ოს, გისთვისაც ქართველის სახელწიდების რაიმე მნიშ-
ველობა და ფასი აქვს, ვალდებულია მივიღეს დღეს
მცხეთაში და თაყვანი სცეს თვისი გულტურის აკან-
სა და ემბაზეს“.

სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ გაზ. „საქართველომ“ ცოტათ დაიგვინა და მხოლოდ
დღეს სწავლის დღეს (1 ოქტ.) გამოაცხადა ეს
საყურადღებო მოწოდება, თოვე კულტო ქართველი
თვილისის სადგურზე ცხოვრობდეს.

სამაგიეროთ, როცა „საქართველოელნი“ წმინ-
დანები გახდებიან, მაშინ ასეთი შეცდომაც არ მო-
უვათ
და ქართველი ერი პანტასავით ჩამოცვავა მცხეთის
სობოროს გალივნში მცხეთელი ვაჭრების საკე-
თილდღეოთ.

ასე კარგია ქართველებო განწმინდანება!
ერმაკი

გურული ენაკვიმატები.

IV

კოსტანტინე შალიკაშვილი.

კოსტანტინე შალიკაშვილი, ანუ როგორც
უფრო ხშირად ეძახოდენ, კოსანდილე, მუდამ ხუ-
მარა, კირსა და ლხინში, მუდამ მოსწრებული სი-
ტყვა პასუხის კაცი იყო. უსწავლელი, მაგრამ ში-
ნაურული წერა-კითხვის მცოდნე კოსანდილე დიდი
კრიტიკის კაცი იყო, ზოგიერთ კითხვაში პირდა-
პირ ატეისტობას იჩენდა. ის აკეთის საზოგადოების
(ჰანკათელი) მაძიებელი აზნაური იყო. მოგეხსენე-
ბათ მაძიებელი აზნაურები თვით აზნაურებზე უფ-
რო ირცხვოდენ მუშაობას, რა არის გლეხობა არ
წამოგვიძინონ. კოსანდილეც ვერ დაიტრაბახებდა
ბეჯითობას. თავს წასვლა-მოსვლით, მოციქულო-
ბით და შუამავლობით იჩენდა.

კოსანდილე ომში.

ახალგაზიდობისას კოსანდილე დიდი მარდი და
ნამდვილი მკვირცხლი გურული იყო, ტრაბახობა
ისე უყვარდა როგორც სენკვევიჩის გმირს ზაგლობას
მაგრამ უზრუნველი ცხოვრებაც ისევე ჰქონდა გამ-
ტებარი, როგორც ზაგლობას, ისეთივე ფრთხალიც
იყო, მაგრამ რაღაც ბედი წყალობდა და ყოველ-
თვის შემთხვევით იმარჯვებდა.

დღევანდელ ომს თუ არ ვიანგარიშებთ, უკა-
ნასკნელ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877—78
წელს) კოსანდილე მგოსან მამია გურიოლის დრუ-
კინაში მსახურებდა. დრუკინისტების უმეტესობა მა-
მიას, გურულები ყავდა და მათი მამაცობით თავი
მოჰქონდა. კოსანდილე, როგორც ხუმარი კაცი,
ცხადია, ფეოდალი თავადის პირადი ნაცნობი და
საყარელი იყო. კოსანდილეც მუდამ დიდ კაცებში
ფართი-ფურთობდა, მათთან ყოფნით სახელს იკე-
თებდა. ს. მუხაესტატეს (ქობულეთში) გახურებუ-
ლი სროლია, ზირბაზნებს გრიალი გააქვს, მამიას
დრუკინა მტერზე იერიშით მიდის. მამიამ შენიშვნა
რომ კოსანდილე ჩხებს გაურბის და იმალება. მა-
მიამ ეს სირცხვილით ჩასვალა და კოსანდილეს
მიაძიხა:

— რავა გეკადრება ბატონო კოსანდილე, ნუ
მოჯაყავ მთელ გურიას, გურულს როგორ ეკადრე-
ბა მტერს ზურგი უჩვენოს!!!

— რას ხუმრობ ბატონიშვილო, ხომ გეყურება

სამწუხარო ამბავი

სოფელი სოკოთუბანი. (დეპეშა) გუშინ წინ
საღამოს მოულოდნელათ იგათ გახდა ჩვენი დაუ-
ლალავი მოღვაწე სოლომონ ზურაბის-ძე ზურგიელი-
ძე. („კვირტი“). პირველი დახვარება აღმოუჩინა
ფერშალმა ლუკა ნუგეშაძე. უკვე მიღებულია ზო-
მა ქუთაისიდან ქართველი ექიმების ჩამოსაყვანათ.
ვფიქრობთ საშიში არაფერია.

მასწავლებელი დ. ლელვაძე.

რედაქციისაგან. ვინც ჩვენს მწერლობას იც-
ნობს, მისთვის არც ძვირფასი სოლომონის („კვირ-
ტი“) სახელი იქნება უცხო. იგი ერთი დაუღალავ
მუშაკთაგანია ჩვენი ისედაც დარიბი მწერლობისა
და მით უმეტეს დამატიქტებელია ზემოაღნიშნული
სამწუხარო დეპეშა სოკოთუბნელი მასწავლებელის
ბ-ნა ლელვაძისა.

ბედი რომ არ სწყალობს ჩვენს ქვეყანას, ეს
უკეთესათვის ცხადია, მაგრამ შეუბრალებელი სი-
კედილის სითავეც თუ ამ ზომამდე მიაღწევდა და
ის დაუნდობელი თავისი სისხლიან ცელს ჩვენი სა-
ყვარელი მგოსნის წინამდევგაც აღმართავდა ეს
კი არ გვეგონა.

ქართველო ექიმებო! თქვენი ვალია უსირცხვი-
ლოთ აღმართული ბასრი მახვილი ხელიდან გააგ-
დებინოთ სულთამხუთავს და სამ-
შობლოს შეუნახოთ ჯერ კიდევ ძალლონით სავსე
ბ-ნი კვირტის ძვირფასი სიკოცხლე.

ზარბაზნებს რომ ფილტინ-ფილტინი გააქვს, ზარბაზნის ყუმბარა წილელას ტკლეცს და მაგას რაფერ გუშერდე რომ მომხვდეს უუმბარა თავში, ხომ მომშალა კაცობაში. მაგის მოხვედრებას ათას წილად სიკვთილი მირჩევნია ლოგინზე. მიუგო კოსანდილებ და თავს უშველა. ჩხუბის დაწყებისას კოსინდილე ყოველთვის ბაქიუბუქობდა, მაგრამ როცა ომი გაჩაღდებოდა, კოსანდილე ბრძოლის ველს კურდლულს უქდა, „ქაშევარებთან“¹⁾ შეძვრებოდა და საჭმლის მკეთრებელ რუსებს რაც რუსული იცოდა ყველას მიახარჯავდა:

— ბორში, ლოეკი მორჩი რუსო, დევიწვი ხელი, დეიქცა შენი კერიო!

გაიგო მამიამ კოსანდილეს ონავრობა და უსა-
კვედურა:

¹⁾ საჭმლის მკეთრებელი.

— რავა გეკადრება ბატონი კოსანდილე, მასე თავის დამცირება, მევიჯაყეთ ბატონი კაცი, მოგვეჭრა თავი რუსებთან, რას იტყვიან ბატონი, ხელით ჭიშ ბორშის, ხელს იწვავ „კასრულში“.


— რას ჩივი ბატონიშვილო, რაკას ბატო-
ნი შენიანს ნუ აწყებინებ და შენს კბილს ნუ და-
ათვლევინებ, თვარი პეტერბუხელმა რუსმა, კუზმა-
ნამ, დემიონამ, ბორისამ რაც გინდა ილაპარაკოს
მაგით მე რა მომაკლდება, ნუ გეშინია ჩემი გლოხა
ამბავი იმჯერს არ კაცს უთხრას, რომლითანაც მე
ქფილის სახესხებლად ვიარები, ერიდე მეზობელს
და მაგინს კისერიც უტეხია ძირში!

ამ ომიტებინ კოსანდილე „გმირობისათვის“ წმ.
გიორგის ჯვრით დაჯილდოვებული დაბრუნდა.

(შემდეგი იქნება გილევ კოსანდილე).

პერპენტუმმობილე.

თფილისის საშუალო სასწავლებლებში.



ახალი გეგმა, თუ როგორ უნდა მოთავსდეს ვიწრო სასკოლო ოთხებში ნორმალურზე ათჯერ მეტი მოსწავლე. გეგმა წარედგინება „ექმაკის მათრახის“ რედაქციის მიერ კავკასიის ოლქის შზრუნველს.

ღია წერილი

ბატონ ჯიბგირებს.

ბატონი ჯიბგირებო!

14 იმ თვეს დღით სამშაბათს, საღამოს რეა საათზე (ჩვენებურათ) თფილისის ვაგზალში, შეა კარებში, თქვენ ერთი მარცხი მოგივიდათ: მოულოდნელიად ჯიბგი გამიჩნრიყეთ და რაც მასში იღმოჩნდა მითვისეთ. ღმერთმა საკუთროთ შეგარეოთ და იმისაგან წილი არ მოეთხოვოს „უღლიან“ ობერ ჯიბგირებს. მაგრამ, ბატონებო, ასეთი წინდაუხედამით მეც სირცხვილი მაჭამეთ, გამომარცხინეთ თქვენ თვალში, კაცური ღირსება დამიკარევეთ და არც თქვენ გინახავთ ხეირი. მე მეონდა ჯიბები რუსის ფული სულ თოთხმეტი კაპეიკი (ერთი ორ შაურიანი, ერთი სამ კაპეიკიანი და ერთიც კაპეიკიანი) და ერთიც თსმალური ორ აბაზიანი. ეს ორ აბაზიანი, დამერწმუნეთ, რამდენი ხანია გადაყოლინწული მექნებოდა, მაგრამ ვერ ვაჩენდი და თუ თავი არ მოგძულებიათ ვერც თქვენ გამოაჩენთ, სხვანაირი დროა და ვინ იცის რას შეგწამებენ. გარდა ფულისა საფულეში მეონდა ექიმის რეცეპტი, ვიცი თქვენ არც ეს გამოგადაგენათ, (იმ წამალს თითოს დაგრძელება არ შეეძლია)! გაშ რა დაგრძიათ ნადავლი? არაუერო! სულ 14 კაპეიკი და ერთი ძველი სამ შაურად ლირებული საფულე. მართლია თქვენ თავნიდან არაფერი გიზარალიათ, მაგრამ თქვენ რომ წინდახედულობა გქონდათ, რევიზიის დღის წინათ გამაგებინებით, მეც მოვემზადებოდი და ასე მომღურებულს არ გაგიშვებდით. არ ითიქმოთ, მე თქვენ საქციელს ვაძაგებდე, არა, ბატონებო, თქვენ ზნეობით და პატიოსნებით ყველა ჯიბგირებზე მაღლა დგეხართ და ყველა ჯიბგირები გენაცვალათ. თქვენ იმ გურულებს ბევრით ჯობხართ მგზავრებს რომ შეიძლებული უხვდებიან გზაში, თოვებსა და რევოლვერებს ისვრიან, აღამიანსაც ცარცვენ და გულსაც უხეოქენ. თქვენ იმ მასწავლებლებსაც კი ჯობხართ, რომლებიც უზველა კლასისთვისაც მოწაფეებს ამზადებენ, მშობლებს ფულებს ცინცლიან და მათ მომზადილ მოწაფეს არსად არ იღებენ. თქვენ იმ ვაჭრებზე პატიოსნებიც კი ხართ, რომლებიც მუშტარს ფულს ართმევენ და სამაგიეროთ დამპალსა და უვარების

საქონელს. აძლევენ. მე რომ მჟიოხო, თქვენ პატიოსნებით იმ მღვდელსაც კი მირჩევნიხართ, რომელიც კალოზე პურს ირწყვავს ან დრამა ფულს ეგზეკუციით ბოჭავს. ამაზე მეტსაც ვიტყვი, ჯელებო, თქვენ პატიოსნებით იმასაც კი მირჩევნიხართ, თქვენთან რომ ბლოკი აქვს შეკრული და ზოგჯერ კინწის კერით აბანოში რომ წაგიყვანს ხოლმე. მე ვიცი რომ იმათაც უყვართ ჯიბის „ობისკი“, მე ვიცი, რომ იმათაც ჯიბით ჩუმათ შეკრუნია სამიკიტონ დუქანში არაყი და შემდეგ ერთი პაწია ბოთლი არაყი რას სამას მანეთად გაუყიდია.

დის, ახალგაზრდებო ამ, ქვეყნად ბევრ გვარი ჯიბგირებია, ზოგი პატენტიანი, ზოგი დიპლომიანი, ზოგს კი არც ერთი არ სჭირია, უდიპლომოთ და უპატენტოთ ჯიბგირობს – ასეთი ხართ თქვენ, მაგრამ მე მაინც გემდურით, რადგან სირცხვილი მაჭამეთ. გთხოვთ სხვას ნუ ეტყვით მაინც ჩემს ამბავს და ბანკებში კრედიტს ნუ მომისპობთ.

თქვენი პატივისმცემელი

— იტნა.

წურბელები

(სცენა გაჭართა ცხოვრებიდან)

სცენა წარმოადგენს ტფილისის ერთ-ერთ ბალს. სკამზე სხედან ოთხი ლიპ-დასიებული გაჭარი და მასლაათობენ.

დარჩი ყასაბი (სიცილით). კაცი, აკვირდებით ქვეწის თხრობას, რა თონბაზობა არის?! რომ იტყვიან „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო“ სწორედ ისეა აქ ხომ იცით დასამალი არაუერია, სუყველანი გაქექილი თონბაზები ვართ ეს ვაინა სწორეთ ვაჭარი ხალხისთვის არის. ვინც ეხლა ფულს არ იგებს, ის ვაჭრების დავთრიდან უნდა ამოიშალოს. ფული ბზესაცით მოდის, ვინ იცის რამდენი ფოთრადები მაქვს! თითო-თროლა შაურებზე აღარც კია გული, ზოგიერთი ჯიბე გაფხევილი მშეერი რომ მოდის და მებნება გირვანება ნახევრი ხორცი მამიკერი და თანაც კარგ ნაჭერზე დამიდებს ხელს, სიცილადაც არ მყოფნის. მე კინებულ ხორცს ვაძლევ, ხომ იცით რასაც მივსცემ, ხა, ხა, ხა, ხა!.. კბილით რომ გასწიოს ქამის დროს ისე გაიჭიმება როგორც პროვოდნიკის რეზინა და შენი მტერი თუ გაწყდა და კედელთანაც ახლოა, თავს მიანარცხებს, თავს!.. ღმერთმა გვიცოცხლოს უპრავის ჩლენები, სწორედ რომ საჩვენო გოგრები

აბიათ, გალავაც ნამდვილი სულიი ვაჭრებისა, ძალიან უყვარს ვაჭრი ხალხი, ნამდვილი ჩოჯები კაცია. ვითომ ტაქსა დასდეს ყველაფერს და ხორციც სორტებათ დაყვეს. რის სორტი, რა სორტი! ყველს ერთ ფასად ვყიდი, ჯანდაკი ვირი რომ დავკლა, იმასაც პირველ სორტად გავიყვან, ვინ არის პატრონი ვინა, უპრავი ჩვენი მხარე იყვეს, თორებ ვინ რას დაგვაკლებს. დრო ეხლა გვაქვს, მუდამ ხომ ვაინა არ იქნება?!.. (ამთქნარებს).

მელქუა. (დაბალის ხმით) დროთი უნდა ვისარგებლოთ, დროთი, დავით საქულიჩი! განა მართლა ქალაქში საქონელი გამოილია და ერთი ორად დაძირდა? ჯერ კიდევ ბევრი საქონელია ძველ ფასებში გამოწერილი, მაგრამ ჩვენ კიდევ ვიძახით, რომ ეხლა გამოვიწერეთ, აღარც იშოვება, ზოგს ვმალავთ ერთბაშად არ ვაჩენთ, ხომ იცი მუშტარი ბრძა-ყრუა, ყველაფერი სჯერა და ფულს ერთი სამად იძლევა. არა, ჩვენ რა გასამტყუნარი ვართ, არ გახსოვთ შექარი რომ იყიდა უპრავებ მილოვისაგან, ვითომ იაფად საწყლებისათვის, ჯერ მილოვმა მოიგო ათასები, მერე თითონ უპრავებ, ხალხმა კინალამ თავ-პირი დაიმტვრია, ეგონათ ეს არის მართლა იაფად არიგებენო, მახლასი.. უპრავაც ვაც ვაჭრობას სჩადის და ჩვენ დაგვიშლის?! ეს რა-ლაცა ტაქსა-მაქსა შემოიღეს, ყასიდათ, ხალხის თვალის ასახვებათ, ვითომ საწყლებისათვის გული შეგვ-ტკივაო, ერთი მათხარი რა იყიდება ტაქსაზე?.. ერთიც ვნახოთ სოფლელს დაიქრენ ეს აგნტები და ნახშირს ტაქსაზე იყიდვინებენ, მერე კარტო-ფილს რა თინბაზობა არის!.. თუ მართლა ღარი-ბებისათვის გული ეწვით, რაღა სოფლის ხალხზე იჩენენ ძალას, რატომ საფარიან ცს არ უდებენ ტა-ქსას, გოლოვინ ცკე რომ გამოუტიმავს უშველებე-ლი „პარიეს“ ტანისამოსის მაღაზია და ცხრა მა-ნეთად გამოწერილ პალტოებს ხუთ-ექვს თუმნად ყიდიან, დაუდონ რაღა ტაქსა!.. თუ იმას ვიტყვით, რომ, უნახშიროთ ვერავინ გასძლებს ჩაუცმელადაც ვერავინ გასძლებს. განა ტანისამოსი და ფეხსაცმე-ლი აუცილებელი არ არის ძმობას გეფიცებით რომ ეს სინამდვილეა თოხ მანეთიან ბაშმაკებს და სამ მანეთად გამოწერილებს ჩემი კარვი ნაცნობი გოლოვინ ცკე თუთხეტ მანეთად ჰყიდის, აი ეხლა ჩვენ მანუფაქტურას მოუმატეთ. თუმცა ძველ ფასე-ბში გვაქვს გამოწერილი და სკლადიც სავსეა, და-მალ-დარჩილულ მატერიებს ვრანიცის ფასებში ვყიდით! აბა მილოვს დაუდონ ტაქსა, ისეთ-ისეთი

ბარხატები აქვს, რომ ერთი თოფი მოლათ იყიდის სოფლის მენაშეირებს თავიანთ ცირკები!..

გიქო ალაფი. ყველა საწყალს ერევა, ყველა! ტაქსა ვინ უნდა დასრულს, უპრავაში ან ჩვენა ვართ, ან ჩვენი ფერები სხვები არიან, რომელი, საწყა-ლი კაცია იქ ჩლენად, რომ საწყლებისათვის იზ-რუნოს, ყველა ქონიანია! აუზებელი კარტოფილი მაქს მიმალული, ხორბლეულობას ხომ ანგარიში არა აქვს, თუ ეხლა არ ვიხმარეთ ჭკუა მაშ რო-დისლა, საუკუნე გავა რომ ეს დრო ადარ იქნება. წინანდელი რუს-ოსმალოს ომი კინკლაობა იყო. თუ მაშინ გამდიდრდა ბევრი, ეხლა მილიონჩიკები უნდა დავხდეთ, მილიონჩიკები!..

აკოფა. ვინ იხოცება და ვინ სარგებლობს! ყველაფერი მრუდეა, ყაელაფერი!.. ჩენ ფულებში ვცხოვრობთ და საწყლებს კი ტყავი სხვრებათ, ქა-თამს რომ უთქვამს; „ძროხა დაქლეს, ზედ დამაკლე-სო“ ნამდვილია. ყოველგან მუშ, ხალხი იჭყლი-და, უბედურებს პური ვერ უქამია მაძლრად, ფეხთ ვერ ჩაუცვამთ და ტანთ, თელეთის გლახები დახ-დნენ! ეხლა ზამთარი მოდის და რამდენი დალურ-ჯდება მამლის ბიბილოსავით, შენ დასოვალე ჩემო გიქო!...

გიქო (სიცილით). ხა, ხა, ხა, ხა, ხა მაშ რა ეგო-ნათ, რომ თავი წამოყვეს, ვითომ ფრანცუზებს მი-ბაძეს და აქაც საცვიალისტობა დაიწყეს, მაჲალო ის იყო, ჩვენ რომ ყასიდათ საცვიალისტობდით! მაშ რა გვექნა კაცო: პალიტიკა, არის პალიტიკა. ჩვენ რომ ისე არ მოვეცეულიყავით, არც ეხლა ვიქნე-ბოდით, ვინმე თავზე ხელ-აღებული ბოლოკივით მოგვაძრობდა თავსა! „დრონი მეფიაბენ, დრონი“ ხან ისე და ხან ასე!...

აკოცა. ეხლა არა გვიკირს რა, ჩვენი კოში ალჩუა, თუ ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლა ჩვენი ალექსანდრე ხაჩუა!..

ცეტრუშება.



გახტანგი და ნაბიჭვარი

ანუ

დრამატიკული გამგეობა და ქართული თეატრი.

სხელიდან გამოვიდა აივანში ვახტანგი...

ესმი იყო დილისა.—

ვნახოთ, უცებ მოესმა უცნაური რამ ჰანგი
ახალშობილ ჩჩილისა.

გადიხედა კიბეზე..



დ. ၄



დ. ၅

ეს უთხრა და საჩქაროთ სამსახურში გაუდგა,
გაუდგა კმაყოფილი.
გზაში იღიმებოდა, ოვალწინ პაწა ყრმა უდგა
ყრმა უდგა, შვილობილი.
მაგრამ რაკი მავიდა სამსახურში ვახტანგი
(ძნელი მსახურობა),
დაავიწყდა ყრმა იგი, რადგან ჩინი და რანგი
ნუ გგონია ხუმრობა.

— „დერთო ჩემო, აკვანი
უკანონო შვილისა
რა კარგია პაწაწა! მოდი, შენ გეთაყვანე,
მოდი, შენი კვნესამე!
მე შენ აღგზრდი, ბიჭუნავ, და რაკი აგიყვანე
შვილობილათ დღესა მე,
თუნდ ჩემ ცოლსაც ეყოლონ ჩემგან ღვიძლი შვი-
ლები—
მეორე და მესამე,
პირველი შენ იქნები, ბედის განაწილები...
ასე მითვამს ესა მე!
ეხლა კი მეჩქარება, ცხრა საათი სრულდება,
სამსახურში მელიან.
აქ იყავ და ვიდრე მხე დასიდალს შებრუნდება
კაშკაშა და მწველია,
მოვალ, რომ გულს ჩაგიკრა...
და მოგხვიო ხელია!“



მათრახი

კი კი ამასობაში, სადაც ნიავისაგან
აკვანი ერწყოდა,

ვიღაც მგზავრი გამვლელი გრძელი „გლორიამილის
საგან“

თამბაქოს ეწყოდა.

ამ უცნობმა გამვლელმა, რაფი გული რჯერა
პაპიროსის წევითა,

ნამწვი განზე ისროლა (ხელში არ გაიჩერა) —
კიბისაკენ ზევითა.


რა იცოდა ვახტანგმა, ვახტანგის რა ბრილია,
ვახტანგმა რა იცოდა,
იმ ნამწვისგან არტახებს შეჰყვებოდა ალრა...
აკვანი დაიწოდა.

ცოცხალ-მკვდარი ყრმა იგი კუბოში ჩაწვინა,
მყის მოუსპო წვალება.

მეტი გულკეთილობა ღმერთმა კი შეარცხვინა
და მეტი შებრიოლება.

და წაილო მან კუბო, გაუთხარა საფლავი,
სიკვდილიც არ აცილა.

არც მღვდელი, არც ტრილი, არც ქალები და
ფლავი,
სულ უბრიოლოთ დაკრძალა.



შინ დაბრუნდა ვახტანგი, სამსახურში წასული,
და კიბეზე დაუხვდა

აკვის ფერფლი და ბავშვი, ნახევრათ შებრაწული...
ვახტანგს ფერი წაუხდა..

შეებრალა ჩჩილი ყრმა და სთქვა: ვფიცავ სამებას,
ძალსა ქრისტეს ჯვარისას,

სიკვდილი სჯობს ათას გზის ამ საშინელ წამებას
დამწვარ ნაბიჭვარისას!

მედიდურათ დაბრუნდა კმაყოფილი ვახტანგი,
ინდაურს დაედარა,

უდირდელათ დასძახა მხიარული რამ ჰანგი...
დარვიწყა ჰატარა!

თაგუნა.

საიდუმლო გარატი

ძმაო ეშვაკო!

აი, შენ საყველურსა მწერ: „რატომ არაფერ ცნობებს იძლევი ქუთაისიდან? ნუ თუ ისე გადარ-ჯულდნენ ქუთაისლები, რომ მათრახის ღირსი აღ-არმენ არისო? იმდენი იცოცხლე, რამდენი აქ მათ-რახის ღირსი იყოს, მაგრამ განა შევიდლია ხმა ამოილო? იტყვი რასმე და ვ. შალიკაშვილზე უ-რესი დღე დაგადგება. აი, მესმის, „სამშობლოს“ რედაქტორმა გაუწია მეგობრობა, — „გოჭი“ არ დაუბეჭდა. შენ-კი ცუდი ჰქენ, რომ დაუბეჭდე! ეხლა არ იყითხავ, რა უყვეს? გოჭი კი არა, კა მეჩიც არ ღირს იმათ, რაც დღე იმას დააყენეს... კაცო, ვისაც კი ქუთაისის გუბერნიაში და თვით ქუთაისში სახელად ერქვა მიხა, ბიკენტი, დიკო, ნესტორი და კოტატი, მიცინდენ საწყალ შალი-კაშვილს ცა სულ თმებილან გასცალეს. კინაღამ თითონ მას არ დააყრევინეს გოჭები... ახლა დადის საწყალი გაპტკვნილი. საქმე გუბერნატორამდე მი-ვიდა. მოქეიფე ყმაწვილებმა თხოვნა მიართვეს, — ეს კაცი გვლანძდავს და თუ არ ჩამოგვაშორეთ, ღვინის სმას თვეს ვანებებთო. გუბერნატორმა სას-ტიკად დატუქსა შალიკაშვილი... იმანაც, საწყალმა ამოიკეცა შენგან ნაბოძები კული, ზის სახლში და დასტრის თავის ხუჭუქა თმებს, ჰო და რო-გორ გნებავს ამ პირობებში სთქვა რამე?! შენ რა გიშავს? მოგიგრეხია კული და ბრძანდები ტფილის-ში; ჩვენ კი პროვინციელები რა დღეში ვართ, მხოლოდ ბელზებელმა უწყის. იმ დღეს ქალაქის საბჭოში შევძევრ მასალის მოსაკრეფად. შევძევრ იმიტომ, რომ აშკარად აღარავის უშვებენ. ხომ იცი, შინაურული დაწესებულებაა და არ უნდათ თავიანთი ნაგავი გამოაქვეყნონ... ან რა საჭიროა, მაგალითად, გარეშე პირმა იცოდეს, რა ხდება საბ-ჭოში? წინათ ასე არ იყო! პრესის წარმომადგე-ნელს ყოველთვის თავისუფლად უშვებდნენ კრე-ბებზე; ეხლა კი, პროტეზენ ჩვენს საქმეს! ეხლა ვეღარ მოგართვეს! თუმცა „სამშობლოს“ „კორეს-პონდენტს“ თავისუფლად უშვებენ, მაგრამ არც საკირველია. „სამშობლო“ უვნებელი ორგანოა! სწერს იმას, რასაც ეტყვიან. ჯერ დაეკითხება უფ-როსებს, — როგორ მოგიქცე, რა დავწეროო, და თუ ნება დართეს, ბეჭდავს იმას, რასაც ეტყვიან. ჰო

და, ამისთანა ფერ-ტმარულ წასმულ გაზეთის კო-რესონდენტს ჲოდი და ნუ შეწვები ეს წესი შე-მოილო „თავმა“ (ქალაქის თავმა) რავი! იცოცხლე, იმას თავი ჰქონდეს გაზღილი, გასიებული, შეი გრუზა თმებით! რომ უყურო, თვალები ზედ დაგრ-ჩება! მუდამ გაბერილი, გაფხვერილი, სულ ჩუმათ არის და თუ სთქვა რამე... გავიხარიან! თავისი ნათქვამი თითონებე მოეწონება და კმაყოფილების ღიმილი სახეზე გადაპერავს. პაპიროზი განუწყვეტ-ლივ პირში აქვს „გაკვეხებული“ და ამოლებს. გაჰ-კრის წარბებს და ბოლის რგოლებს მოცინარ თვა-ლებს გააყოლებს. ულვაშებს მუდამ მაღლა იწევს და იგრეხავს. . ტუჩებს აწელაპუნებს; როცა ელა-პარაკები, მუდამ ძირს, მიწაზე იყურება, თვალებში არ შემოგხედავს... ჰოდა ყველა ეს თვისება, ხომ იცი, პევიანი კაცის თვისება... მაგალითად, წელს, როცა მისმა არჩევნებმა მოაწია, უნდა გრანახა, რო-გორ დატრიალდა. ტფილისიდან გამოიწერა ინუ-ნერ-გიდროვლიკები, ტენიოლოგები, ელექტრიკები და სხვა... რიკები!.. დაფაცურდა! წავიდა რაჭაში, გამოძებნა წყარო, დაათვალიერა ქუჩები, საცა კი შეიძლებოდა ტრამვას გაყვანა, ელექტრონის სალ-გურის აღვილი აირჩიეს, კანალიზაციის გვეგმა შე-აღინა... ერთი სიტყვით, ერთ თვეში ყველაფერი გააკეთა... ქუთაისში ცას ვეწიეთ. „ძლიერს“ — ვი-ფიქრეთ დიდი ხნის ოცნება განხორციელდება; წყალი და კანალიზაცია გვექნება და ტრამვა კი... ჯანი გავარდეს, — ფეხით ვიღლი!.. ამომჩენევლებმა ერთხმათ დაადგინეს: „არ შეიძლება „თავის“ გა-მოცვლა. რაკი საქმე დაიწყო, საშვალება მივცეთ დაამთავროს“. მართლაც აირჩიეს. აირჩიეს თუ არა, „თავმა“ ეს დიდი თავი დასდო ბალიშზე და სძი-ნავს. ეს გეგმებიც თავქვეშ უდევს. იღბათ სიმძი-მისაგან თავი ვერ აუშვევია. ჰო და ყველა ამის შე-მდეგ შენ მაინც იტყვი — დიდი კეცა არ აქვსო? სცდები, ძმაო! დიდი კეცუის პატრონია!

ჰო და შევიპარე საბჭოში... დამინახეს ხმოს-ნებმა, მტაცეს ხელი და გახურებულ ფურნეში შე-მაგდეს. მეფურნემ ნიჩიბით გამომათრია. უნდოდა ასო-ასო დავეჭერ და პურათ გავეყიდნე... აქაური მეფურნები ხომ ყოველ სისახლეს პურათ ყი-დიან, მაგრამ ძალიან რუჯის სუნი გავარულებე გარშემო და რმან მიშველა. მყიდველები სუნით მიხვდნენ რომ მე პური არ ვიყავ. იქედან წავედი საურთიერთო ნდობის ბანკში. დირექტორს ირჩევდნენ. ერთი ჩემი ნაცნობი „ბან-

კების მოლვაშე”, დიდიმი იდგიმდა ყუთს. კარგი მომზადებული პარტია ჰყავდა და მართლაც, ასე გამარჯვებული იტაროს ღმერთმა მის სიკოცბლეში, როგორი გამარჯვებული იმ დღეს ის გამოვიდა. როცა ხმები დათვალეს, თეორი ხმა აღმოჩნდა ერთი და 395-შავი. არ გინდა საზოგადოების ასეთი სიმპატია დაიმსახურო? დამინახა თუ არა, მეცა. ეს სულ შენი ინიციატივა და ფანჯარაში გადმომისროლა. შეუძლებელი დაგერდი. წამოვდექი, მაგრამ გზის განვითარება არ გნებავს? ისე ბნელი, რომ თვალში თითო ვერ მიიტან... ხან ერთ ხეს ვეცი, ხან მეორეს... ბოლოს ერთ ფანჯარაში სინათლე შევამჩნიო. გავექანე.

შავი ქვის პრეზენტაცია საბჭოს დარბაზი იყო. კიბეზე რომ ივლივარ დარაჯმა კუდში ხელი მტაცა.

— სად მოეხეტები?

— მინდა ვნახო იქ რა ხდება?

— იქ პირველი კრება აქვს ღრამატიული საზოგადოების ახალ გამგეობას... იქ შესვლა არ შეიძლება, საიდუმლოა!

აჰა!.. გამკრა თავში, — საიდუმლო და ისიც შავი ქვის საბჭოში!

ამოვილე ფული და დარაჯს ხელში ჩაუდე. გამიშვა.

მივადექი ერთ კარებს, დაკეტილია.

ეხლა უფრო აღმეძრა ცნობის მოყვარეობა.

განა არ იცი, შავი ქვის საბჭო რა საიდუმლოებით არის მოცული? იქ კედლებიც ერთმანეთში რაღაცას ჩურჩულებენ. იქ ყველაფერი შინაურულად, ფარულათ კეთდება. შენ-ჩემობა და ნათლიმობა პირველად საბჭოში იშვა და მერმე სხვა დაწესებულებებს მოანათვლინეს.

საბჭოში, მაგალითად ასე იცია:

როცა ჯამაგირის მომატება მოუნდებათ საბჭოს წევრებს, დანიშნავენ სხდომას: დასხდებიან: (ეს ყველაფერი წინასწარი მოლაპარაკებით ხდება).

— ბ-ბო! ყველამ უწყით, თუ რა დიდ შრომას ეწევა ჩვენი თავმჯდომარე. ჯილდო-კი მცირეა უხვი შრომისათვის. მოუმატოთ მას ჯამაგირი!

— მოუმატოთ! მოუმატოთ! დასხახებენ ერთხმით.

წამოდგება მეორე:

— ბ-ბო! მოუმატოთ ჯამაგირი ბუხგალტერს!

— მოუმატოთ, მოუმატოთ!

— ბ-ბო! დავნიშნოთ ამ აღვილზე ივანე!

— დავნიშნოთ დავნიშნოთ!

— მიეცეს ჯამაგირი ზუთასი თუმანი!

— მიეცეს, მიეცეს!

თავმჯდომარე წამოდგება:

— ბ-ბო! მადლობას გიძლენით ყურადღებისათვის. . მადლობის დასამტკიცებლათ თანახმა ვარ თითეულმა თქვენგანმა ჯამაგირი მოიმატოთ რამნიც გნებავთ.

— მოგვემატოს მოგვემატოს! შესძახებს ყველა. კრება იხურება, ჯამაგირები ემატება, — საბჭო იკეტება...

ჰო და რომელი საზოგადო საქმეც პირველად საბჭოში მოინათლება, მოდი და იმის ბედი ნუ დაგაინტერესებს.

შევძერი კუჭრუტანაში, ზალიდან ზალაში გავედი, ოთახიდან-ოთახში, აივნიდან აივანზე, დერუფიზან დერეფანში, კიბიდან კიბეზე და ერთ ვიწრო დერეფანში, საცა ორი ნოლია — მივიჩიე. შევხედე, — მეორე კარებს სხვილი ასოებით აწერია: „ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობის კანტორა“. (როგორც დავრწმუნდი, სწორედ შესაფერი ბინა გამოუწახავთ სამუშაოთ და თუ ასე განაგრძეს მუშობა, იმედი მაქვს, იმდენათ გააფირთოვებენ საქმეს, რომ გვერდით ორ-ნოლიან ოთახსაც დაიკერება)

შევედი და კუნძულში მივიმალე.

სწორედ ამ დროს წერილს კითხულობდენ. „დარბაისელნო და სულდიდნო ბატონი ჩემნო.

მართალი არის, მე განვაცხადე სურვილი გამგეობის თავმჯდომარეობისა! ისიც სწორია, რომ მე ერთხმად არჩეულ ვაქმენ! ეს არის ჩემი თავხედობის თავი და ბოლო! მაგრამ რა დავინახე სიდირბაისლე, კევა დიდობა, ხალხში გავლენა და იდებული მხატვრული ნიჭი ჩემის კოლეგებისა, — ვსუან, რომ ჩემი კევა და ნიჭი უძლურია თქვენს კევასა და ნიჭან და ამიტომ თავმჯდომარეობაზე უარი, ვაცხადებ.

თქვენი მოყვარული ილუზეა“.

— მაშ ვინ ავირჩიოთ თავმჯდომარეთ? იკითხა ერთმა.

აღმართ კიტას აირჩევენ მეთქი, ვიფიქრე, და წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება, როცა საშა დაასახელეს.

გავოცდი, მაგრამ როცა შევხედე — მიამა.

გაგიხარიან, ის კაცი იყოს! იი, ნამდვილი სათავმჯდომარეო კაცი! თვალები დაუდგა საურთი-



მეოსანი ბალონტი.

ერთო ბანკის საზოგადოებას! იქაც დაიდგა ყუთი თავშჯდომაზე და წარმოიდგინე, გააშავეს! მაგისთანა კაცი რომ თავზე დაგაჯდეს, არც გეწყინება! შეხედავ — „კაცია“! მაღალი, ახოვანი, არშიყი, ლამაზი, არქიელივით წვერ-ულვაში .. ფერხორცი — რძე და ღვინოსავით თავს უვლის! შავი ქვის წვენს იშაპუნებს და „ბაქარის“ ცხრიანგით ყოველ რამ ტანს იზელავს!

დაჯდა.

გვერდით მოუსხუენ:

ცაცა, სიმა, შალიკო, გრიშა, მაშა, პაშა, გოგი, ჭაჭუ და კაკი.

კრება გაისსნა.

— გადამშერლის თანამდებობაზე მსურველთა თხოვნები არ არის? იკითხა პირველიდ თავშჯდომაზე — საშამ.

— გახლავთ! სოქვა გრიშამ. ერთი თხოვნაა გუცასი.

— უნდა გამოგვეცხადებინა, რომ თავისუფა-

ლი ადგილი გვაქვს. იქნებ მსურველნი სხვებიც აღმოჩენილიყვნენ და შეგვეძლებოდა მათში საუკეთესო ამოგვერჩია. ძლივს სოქვა შალიკომ და შერცხვენილი მაგიდის ქვეშ შეძვრა.

— რა საჭიროა ამორჩევა? გუცა კიტამ გვირჩია, — სხანს საუკეთესოა! გაჯავრდა საშა. დაუძახეთ!

წევრებმა სული განაბეს.

კარი გაიღო. შემოცუნცულდა ერთი პატარა ბიჭი, თეთრ ხალათში, განიერი ქმრით, გამსდარი... ეტყობა — შევარებულია და გადაჭარბებულ ჯაფას წელში მოუხერია.

— საჭირო იყო მისი ვინაობის გაცნობაც... იცნობს ვანმე? ჩაილულლულა საშიმ და მორცხვალ ჭალარა თმებზე ხელი გადაისვა.

— რაც შეეხება ცნობას, — წამოდგა გრიშა — მე ვიცნობ!.. ორი წელიწადი ჩემს გაზეთში მუშაობდა!..

თუ გახსოვს, ამ წინა წლებში გრიგოლს მუცელი წაუხდა და ერთი უდღეო გაზეთი „კოლხიდა“, თუ „იმერეთი“ კარგად არ მაგონდება, — მოაგდო. საბრალო, ახლად შობილი იმ წუთშივე ხმა ამოულებლივ მიიცვალა... მაშინ ექიმებმა ეს უბედურება ალკოგოლს მიაწერეს, მაგრამ ხალხი კი სულ სხვის აბრალებს... გრიგოლმა მას შემდეგ ნაყოფიერობა სრულიად დაკარგა... ეხლა კიტა იქიმობს, მაგრამ მორჩენის იმედი მაინც აღარ აქვთ...

ჰო და გრიშას „რეკომენდაცია“ საქმაო სუმ.

— მოვეიცია შენთვის გადამშერლის ადგილი! სოქვა საშამ. დაჯექ, წერე!

გუცა მცუნცულდა და მაგიდის კუთხეში დაჯდა.

წამოდგა ცაცა.

— ბ-ბო! სიმონია ჯლამაძე ასო „გ“-ზე ამბობს სახარებიდან: „განიდიდე თავი შენი, რათა განდიდებული იქმნა სხვისაგანც“. განვიდიდოთ თავი ჩვენი და დაწესებულება ჩვენი... ამიტომ ნუ ვაკმარებთ გუცას მარტო გადამშერლის სახელს. ერქვას მას „საქმის მწარმოებელი“!

— ერქვას! შესძახეს ერთხმათ.

— ერქვას მას „წარმომადგენელი“!

— ერქვას!

— ერქვას მას „სუნის ინსპექტორი“!

— ერქვას!

— ერქვას მას „ცარიელი კასის ბუხგალტერი“!

— ერქვას!

- ერქვას მას „თეატრის პოლიციელისტერი“!
- ერქვას!
- „თეატრის ადმინისტრატორი“!
- ერქვას!
- „დასის გამგე“!
- ერქვას!
- „კაპელდინერთა სტარშინა“!
- ერქვას!
- ერქვას მას „თეატრის დირექტორი“.
- ერქვას!
- შემიბრალეთ, მეტი აღარ შემიძლია გაისმა
გუცას ყვირილი.

რამდენ ახალ თანამდებობას ასახელებდნენ,
გუცა იმდენათ იზრდებოდა, სივდებოდა...

ასე რომ დირექტორობაზე როცა მიაწია საქ-
მემ, იგი უკვე თავის კანში იღარ ეტეოდა. რუმბი-
ვით გაბერილიყო... ცოტა კიდევ და კრილოვის
ბაყაყივით მოუვიდოდა.

შეორე დღესვე გუცამ ასეთი შინაარსის სა-
დარბაზო ბარათები დააბეჭდინა და ნაცნობებს
დაუგზავნა: „ქუთაისის ქართ. დრამ. საზოგადოების
გადამწერალი, საქმის მწარმეებელი, წარმშემადგენელი,
სცენის ინსპექტორი; თეატრის დირექტორი, კასის ბუნ-
გალტერი, თეატრის პოლიციელტერი, დასის გამზე,
გამედინერთა სტარშინა და ადმინისტრატორი—გუცა.

დავშთები შენი კუდი.

(დასასრული იქნება)

დიდი ჯიხაიძე.

ყველაფერი რიგზე არის,
მაწყობილი ჩენები,
ჯაშუშობა, დაბეჭდება
სულ ყოველ კურები.
„სტარშინინა“ ყველის უნდა
ამ წუთი სოფელში,
ჯამაგირსა ხომ დებულობს—
ეანქრებს მოწმობებში...
მიეთობა მოეთობა,
ჩურჩული ყურებში.
ვიღაცების მლიქვნელობა
ქსენონთ კომიტეტში,
კომიტეტის თაღლითობა
კერძო პირობებში...

ვაჭრუკებმა დაგვიჯაბნეს
ჩაგვიგდეს კლანჭებში,
და როგორც სურთ, ისე გვთლიან,
(დაგვაჯდენ კისერში),
ზოგიერთების ლოთობა
სამიკიტნებში,
ერთმანეთის ცემა ტყეპა
აქ, ბაზრის ქუჩებში,
კამათლების ჩხაკასჩუკი
ყოველ საქმე დღეში...
მამებს ჭამის მადა მოსდით
ტირილ ქელეხებში,
სადღეგრძელოების მართვა
ლარიბ ღატაკ მრევლში.


კიკოლა ბიჭი.

დ ე პ ე შ ე ბ ი

(ბუჭაბის სააგენტო)

ჭიდათურა. ვინაიდან აღგილობრივი კოოპერა-
ტიული საზოგადოების გამგემ (აწ გადაყენებულმა)
დიდი ღვაწლი დასდო ხსენებულ საზოგადოებას და
კასის წიგნები უშნოდ დაწერილი ციურები ამოფ-
ხიკა, გასწმინდა და გაასპერა ისტორიული დო-
კუმენტი ყოველივე „პამარკებისაგან“, გამგეობის
დაუკითხავათ გაპირიდა და გაანალიზო საზოგადოების
კუთვნილი ნივთები, ზარალი 2000 მანეთზე დაი-
ყვანა, ნისიად გასცა 5000 მანეთი და ამაში გამ-
გეობა არ შეაწესა და ყოველივე ეს მძიმე საქმე
საკუთრად იდვა თავზე, ამიტომ საზოგადოე-
ბამ დაადგინა: ბ. გამგეს ასეთი ერთგულობისათვის
დაუდგას ბ. გუჯეჯიანის კოშკის თავზე მარმარი-
ლოს ძეგლი. ბატ. გამგეთან ერთად მარჯვნივ
იქნება გამოქანდაკებული კოსტა კუდახე, ხოლო მარ-
ცხნივ შავი ძაბით შემოსილი მანდილოსანი რომელიც
კაკლის თავზე კურცხალს დააფრაქვევს მის შვილო-
ბილს ბ. გამგეს. ძეგლის გაკვთება მიანდვეს ცნო-
ბილ მოქანდაკეს ბატონ ხავთასს.

დარაჯი.





ახმას შენ ჩემთ თავო, ახმას! ერთ თინი შიკვეს, როგორ დამეღუბა სამი შაური?! ამბობენ გაქრები ყალთაბანდებია, თინბაზებიათ! ღმერომანი სულ მართალია. გუშინ წინ მომწყურდა, რაღაც უქეიფოთაც ვიყავი, შევდივარ დუქანში ყელის გასასველებლათ. მე ხომ ეხლა სულ ლალიძის წყალსა ვსვამ, ის არის ჩემი კახური. ვიცი რომ ლალიძის ბოთლის ჩიხტა-კოპიანი ქალი აკრავს და მეც ხელით ვანიშნე ის ის ბოთლი გახსენით მეთქი. დავსხი მღვრიეა, ცხვირთან მივიტანე ნივრის სუნი აქვს, გემოთი ენიხე სახარინათი გაუტკბით. ბიჭის, ეს ლალიძე არიუნდა იყოს მეთქი. სათვალეები გავიკეთე და წავიკითხე ვიღაც მოლაძისა თუ ცალყურის გვარი. ხედავთ რა „პალომგი“ გაუკეთებით. მე კი აში აღარ მოვტყვილდები ჩიხტა-კოპი ვერ შემაცდენს, მაგრამ იმ სამშაურს მივტირი. დააკვირდით ბოთლზე წარწერის თორემ თქვენც დაგატყვილებენ.

საცხოვრის თავის თავის თავის თავის — ამისთვის ჯანმრთელობა

უბისი

კერძო კერძო
ამისთვის

სამაცნელო-გადასახლება
ხალავანის სამაცნელო



ՎՐԱՏԱԿՈՒԼՈՒ ԿՐԱՑՈՒՅՆ ՑԱԲՀՅԱԿՈՒԵԱ!

ՍՄԱԿՆԱԳԻՍ ԾԱՑՈՂՈՒՏԱ.

Ի Ֆյուլովածո ցազօնա, հաւ ի՞մո ցամոցոնոնո ֆամալո ՝ՀԱՑՈՂՈՒ” ցասակութագ ցամոցօնա, սամյուրնածո ծածքու ներահուցոտ № 1295, սյասյնաբու ֆամլոնծուցու, հոցորհու թացառո, ուս երոնիցըլուս. ամ ենու ցանմացլուծա թու՝ ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ս էրեթահարաւոտ առաւմոցո սրուլուաց ցանույշնա, հոմելուացանու սամացլուծոցո ֆյուլուցո մայքը. ֆամլոնծու սցուտո նայուցո շոյլցիս մաժլցա, էրեթահարաւո ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ո, հոցորհու պայլանչ ահացեցուո և սիրացած մոմիցըլո սամացլուցու, զյուրհուս պայլանչ.

Սյանասյնյուլ ֆլուս գայունութամ կալազ գամթիւու, հոմ ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ու էրեթահարաւոտ ֆամլոնծու Շեմլցու սյասյնաբու հոմ ար մոհինունուցու ամուստանա Շեմտեցցու ար արուս, ամուստուս ցագութիւնու ցաւեցցո, հոմ հաւ սինցահուցու ույուս օցագմոցոցո հիմո ցամոցոնու սամ կայուրանո ֆամլոնծու սայմարիսու սյասյնաբու մուսարինատ, և ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ու Շեմլցունուտ սրուլուաց մոհինունու սինցահուցու հասուցալուս.

Մարտալուս, սյանասյնյուլ ֆլութու սյասյնաբուս (ցոնորհու) ֆինաօլմւցց ծցրու սամացլունա, ցամոցոնու հիմուս լա արսցուո ցանյուրնցիս էնուրուցունցու լա օցագմոցու, Շյասմլուս, ցալուց ցաւյրուց ամ ֆամլոնծու սինցուցունու լա սամարտլունունա Շեմլցունու ցիցու տցուրու Շեմլցուն հիմու ֆամուսաւ. — ամ Շեմտեցցանու մամու պայրագուցիս մի ցարյմոց անց մուցայիւցո, հոմ հիմու հիմու ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ու պայտրունութու լա հիմու գաձուրցիս լուրունու և ուրիշու հոմ ար արուս, ամուսամնուցու պայլուս, զոնց հիմցան էրեթահարաւ ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ու որու որմաց ցլույնուն (ֆամլոնծու մույլու կայուրու) լութիւնցիս, ֆամալուն յրտած յցնացնցիս հիմցան երլիքունու, հոմ սինցահուցու պայլուս պայնց լութիւնցի.

Խոմութո հիմու երլիքունունուս: „մե, ամուս կցեմուր երլուս մոմիցըրունու ամ երլիքունուն զամլցու ծարուն լուս լուս (լուս և ամուս) ունանու, հոմ մուցուու և ման հիմու ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ու որու ցայնու, սյասյնաբու ֆինաօլմւցց, տցուրցիս զար, հոմ ուրու լուս ֆամլոնծու Շեմլցու յս սինցունցիս սրուլունուտ ցակյւրցիս. ու օլունունու զագութիւնու հոմելունում լութիւնունու մարդուս ցամոցլունուս Շեմլցու օլունունութիւն ցանյուրնցիս պայտրուցիս մամունու զալցութունու զար հու մանցու գացութիւնու” (եղան. մուլիք.).

Քյուր մուցունու լուսուս, հոմ ծցրու ցանյուրնցիս պայտրուցիս պայտրուցիս սամացլունու լութիւնցի, ցագութիւնու հիմու ցանյուրնցի լութիւնուցու մուցուուցու երլունու մալունու մալունու ֆյուրունցի, ամ ֆյուրունցի լութիւնու (այսարցելու) հիմուն օնակցիս լա սինցունու մալունու ցամոցլունուս Շեմլցու օլունունութիւն ցանյուրնցիս պայտրուցիս մամունու զալցութունու զար հու մանցու գացութիւնու.

17. թ. ե., ծ-նու գուղութիւն! լուգութիւն ցմացլութ ույցենո ֆամլուս ՝ՀԱՑՈՂՈՒ”-ուստուս, հոմելունու յրտածուտ ոյնուս յարցու ցալցունու. մելուս ցանյուրնցի լութիւնու մուսաթրցիս արու պայլուս, արամցու օցագմոցու ցանյուրնցիս պայնցիս, ամանու ուցուուն լութիւնունունու, ցանյուրնցիս ցունցուու մալունուս.

Երցուրունու 14 մարտի, 1914 թ.

3. 5. 3. 5.

Ֆալմոնծու սրուլու կայուրուս, որմաց նյուցու ցլույնուս լա կալուցու վուլուս ուսու լուսուն պայնցուտ լա ցասմագցիս առու մանցու. ցացնացնուտ լա ցասմագցիս առու մանցու. ու ելու ֆամունցին 3 մանցու.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отделение Московской Лаборатории М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушинская 3 отд. э/м. верхний этажъ.

კალა თვილიშვილი

გამოდის ერველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

თ მ ა პ ი ს ა ა თ რ ა ს ხ ი

ურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუა,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ნ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხოვნები, ზღაპრები, არავები, ზარალები, გამო ანები, ნაკვესები და სხვა.

♦ ურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ აღრესოთ:

თიფლისъ

*)

C. P. Тавартиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს აღვილი კონფერენცია მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ
♦ უმარჯო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ♦